ბრძანება:**№63. 63243334**
თარიღი:**28/11/2024**

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 2 დეკემბრის სხდომის მოწვევის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

**მუხლი 1**. მოწვეულ იქნას სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, 2024 წლის 2 დეკემბერს 11:00 საათზე.სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული საკრებულოს სხდომათა დარბაზი, რესპუბლიკის ქუჩა N6.

**მუხლი 2.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენილ იქნას დღის წესრიგის შემდეგი პროექტები:

1. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი 23 პროექტის მოწონების შესახებ.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./**

2. ქალაქ სამტრედიაში, გიორგი ჭანტურიას ქუჩა №72-ში მდებარე №1 შენობა-ნაგებობიდან, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.55.957) 158.96 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის, ,,ჰაბიტატი თანასწორობის, მიღწევების და განვითარებისთვის" (საიდენტიფიკაციო ნომერი-412767448) გადაცემის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

**/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./**

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჩხენიშში მე-10 ქუჩისათვის, გრიგოლ ჯულუხიძის სახელის მინიჭებისათვის, თანხმობის მიცემის შესახებ.

**/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირ. მელაშვილი./**

4. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის Nგ-63.632135728 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. სირბილაძე./**

5. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. სირბილაძე./**

**6. სხვადასხვა.**

**მუხლი 3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ.N1) მისი გამოცემიდან 1/ერთი/თვის ვადაში.

**მუხლი 4**. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი